№ 124 თიბათვე 16, პარასკევი 1889 თიბათვე 16, პარასკევი № 124

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფერილინის ქუჩა, ბასკამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ტფილისი, 15 თიბათვე

დადგება თუ არა ზაფხული და ოლქის სასამართლოს განყოფილებაც მიეშურება საქართველოს განაპირა მაზრებში საბჭოდ და საქმეების განსახილველად. ეს დრო მართლაც და შესანიშნავია: არა-ჩვეულებრივი ფერი და მოძრაობა დაეტყობა ხოლმე საზოგადოებას და მკვიდრთა, მეტადრე იმ ადგილას, რომელიც შორს მანძილზეა საგუბერნიო ქალაქიდგან. მიზეზი ცხადია: თითქმის მთელის წლის განმავლობაში რომელიმე მივარდნილი მაზრა სრულიად მოწყვეტილია საგუბერნიო ქალაქს და ამიტომ ადგილობრივად განხილული და გაბჭობილი საქმეები შერჩებულია. რასაკვირველია, რომ მცხოვრებლები გულის ძგერით მოელიან, როდის გვეღირსება საქმის გათავება და განაჩენის სისრულეში მოყვანაო... ხალხის სიხარულს ბევრჯელ საზღვარი არა აქვს, როცა შეიტყობს ხოლმე, რომ ესა-და-ეს განყოფილება ოლქის სასამართლოსი გვეწვევაო. უნდა თქვენის თვალით ნახოთ, რა ნაირად მოელის საზოგადოება განყოფილების, «სესიის» მოსვლას, რომ შეიტყოთ, რა დიდად სწყურია საზოგადოებას სამართალი და რა დიდს შვებას ჰპოვებს მსწრაფლ მართლმსაჯულებასა და ბჭობაში. ვგონებთ აზრის სინამდვილე სჩანს იმ ამბებიდგან, რომელიც ასე ხშირად ჩვენს გაზეთშიაც იბეჭდება,—აქა-და-აქ მოკლე ხანში სასამართლოს განყოფილება გვეწვევაო. და როცა ამ ამბებს ავვირდებით, გგონიათ საზოგადოება მართლა რაღაცა დღესასწაულს მოელისო...

საუბედუროდ, თუ ყოველთვის არა, ხშირად მაინც ამ სიხარულს სიმწუხარეც მოსდევს ხოლმე. გაიგებენ თუ არა ოლქის სასამართლოს განყოფილება ამა-და-ამ ადგილას წავიდაო და ახალის სამართლის «ქვემძრომნი გმირნიც», ეგრედ წოდებული ადვოკატები, დაუყოვნებლივ თან გაჰყვებიან ხოლმე სასამართლოს წევრებს და უეშველად ბარგი-ბარხანაც მიაქვთ,—ის ორიოდე გაზეპირებული „სტატია“, რომელიც ასე ძვირად უჯდება სამართლის შემაყურებელს საზოგადოებას და მეტადრე მდაბიო ხალხს. ეს ადვოკატობა სწორედ გალიასავით მოედება ხოლმე, რასაკვირველია, უფრო მეტად გლეხ-კაცობას და თითონ თქვენის თვალით უნდა გენახოთ სურათები სასამართლოს პრაქტიკიდგან, რომ შეიტყოთ—თუ სადამდე მიახწევს ხოლმე «რჯულისა და კანონის ძალით» ცარცვა და ყვლეფა... სასამართლოს სადგურებთან, მოედნებსა და ქუჩებზედ სწორედ სამართლის ნამდვილი «იარმუკა» იმართება და ამ ულირსს, სათაკილო აღებ-მიცემობას თითქო საზღვარი არა აქვსო... თითოეული დროებით მოსული ადვოკატი მეორეს ეჯიბრება ცარცვა-გლეჯაში და საწყალი უვიცი გლეხი-კი იჭყლიტება. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მოჩივარს საქმე ბევრად ძვირად უჯდება, ვიდრე თითონ საქმე ღირს და ეს, რასაკვირველია, ადვოკატის წყალობით. კიდევ კარგი, თუ ადვოკატებმა აგენტები არ გაიჩინეს, ობობას ქსელი არ გააბეს, როგორც ხშირად ჰხდება, და საკუთარს ძალა-მოხერხებას დასჯერდნენ, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ უმეტეს ნაწილად ადვოკატს თავისი ბადე და ქსელი აქვს გაბმული... რა ღონისძიებას არა ჰხმარობენ, ოღონდ-კი ბადეში გააბან გაჭირვებული მოჩივარი, თუ ბრალდებული. ძნელად მოსალოდნელია სხვა ვინმემ იმდენი შეუბრალებლობა და გულ-ცივობა ჩაიდინოს, რასაც შვრებიან რჯულისა და კანონის სახელით ჩვენი ადვოკატები!..

რასაკვირველია, გულ-უბრყვილო გლეხ-კაცობა ათასში ერთხელ თუ მიუხვდება ოინბაზობას თავის წურბელებს. თვით ოინბაზობა ხომ მოხერხებულად სწარმოებს: სასამართლომ ვინმე რომ გაამართლოს, ადვოკატი კარზედ ხალხს უქადაგებს—ის სულ ჩემი საქმე არა... გლეხობაც პირში შესცქერის ბაქია ადვოკატს და უკანასკნელი ფული იმასთან მიაქვს...

სავალალო ის უფროა, რომ ამ გვარი უკანონობა მსაჯულების ზურგთ უკან სწარმოებს, მდაბიო ხალხი, გლეხ-კაცობა და მორებულია და სიტყვა ვერ მიუწვდება სასამართლოს ოლქის მსაჯულებთან და თუნდაც რომ მიუწვდებოდეს, პატრონი არავინა ჰყავს. ხშირად წვრილმან მოხელეებსა და ადვოკატობას შორის ხელ-შეკრულობა სუფევს, ადვოკატობა ელაქუცება, პატივსა სცემს კანცელარიის მოხელეებს და აბა გლეხისათვის ვინ-და შეიტკიებს თავს!..

სიხარულით მოელის რომელიმე მაზრა სასამართლოს განყოფილებას, მაგრამ ამ სიხარულს ბევრი ვაი-ვაგლახიც თან მოსდევს. მეტადრე ძრიელ იჩაგრება ადვოკატებისაგან მდაბიო ხალხი. კანონის ძალით თითონ ამ სასამართლოს მეუძლიან ალაგმოს ხალხის კეთილდღეობის ძირ-და-მამხობელი ადვოკატობა.

მე—ძე

## ახალი ამბავი

*** ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ყოვლად მოწყალედ ებოძა ბრილიანტის ბეჭედი ჩვენს თანამემამულეს, დაღესტნის შემკრებელს იშვიათის საარხეოლოგო და სამუზეიო ნივთებისას ფოტოგრაფს ა. როინაშვილს, რომელმაც წარუდგინა მის უდიდებულესობას ალბომი დაღესტნის ბუნების სურათებისა.

*** როგორც მკითხველებმაც უწყიან, წარსულ სამშაბათისათვის ნემეცის ბაღში დანიშნული იყო ქართველ მომღერალთა ხოროს კონცერტი არტისტის ი. ი. რატილის ლოტბარობით. ეს კონცერტი უამინდობის გამო სამშაბათს გადადებულ იქმნა და დანიშნულია ზეგისთვის, 17 თიბათვისათვის.

*** ეხლანდელი რექტორი ტფილისის სემინარიისა არქიმანდრიტი პაისი დანიშნულ იქმნა უწმინდესის სინოდის მიერ ვლადიმერ-ვოლინის პირველ-ხარისხოვანის მონასტრის წინამძღვრად, ხოლო იმის ადგილზე გაამწესეს მოგილიოვის სემინარიის რექტორი, მაგისტრი ღვთის-მეტყველებისა არქიმანდრიტი მამა ნიკოლოზი.

*** თავ. გრიგოლ გურიელმა შემოსწირა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს წიგნები: ა) „ქამნი“, ხელთ-ნაწერი, რომელშიაც შენახულა სამი ფურცელი კვიკლოსი ისტორიულ წარწერებით და ბ) «ლოცვანი», აგრეთვე ხელთ-ნაწერი, და თ. ი. მაჩაბელმა — „ლექსიკონი“ საბა ორბელიანისა, სადაც ჩართულია ასომთავრულები.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

*** 9 თიბათვეს თელავში გამართეს ქართული წარმოდგენა. მოთავე ამ საქმისა იყო ბ-ნი აწყურელი. მოთამაშეთა შორის იყვნენ ქ-ნნი კახიძისა (ქ. ანდრონიკაშვილისა), ნ. ქავთარაძისა, ბ-ნნი დ. აწყურელი, კ. გამყრელიძე, ი. ზურაბოვი და სხვანი. წარმოადგინეს ოთხ-მოქმედებიანი პიესა: „ეხლანდელი სიყვარული“, რუსულიდამ გადმოკეთებული. წარმოდგენას დიდ ძალი ხალხი მოაწყდა, ისე რომ არც ერთი ბილეთი აღარ დარჩა. ბევრნი უკან დაბრუნდნენ უბილეთობის გამო. თვით წარმოდგენამ-კი მხიარულად ვერ ჩაიარა. პიესა ისეთი იყო, რომ იმის წარმოდგენა თელავში ხალხს ვერ გამოიწვევდა.

## ფელეტონი

### იალბუზის გარშემო

(შემდეგი*)

ათის დღის სოფლად დასვენების შემდეგ, ე. ი. 3-ს სექტემბერს კომისია ისევ სოფ. თავრარს იყო თავმოყრილი აფხაზეთის მთებზე წასასვლელად. ამ გზობით კომისიას ორი წევრი მოაკლდა: ბ-ნი ვ—ეი და თ. თენგიზი. პირველი ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა ბეჩოდამ ქუთაისს წასულიყო და მეორეც, როგორც გვეუბნებოდა, ამავე მიზეზის გამო ვერ გამოგვყვა მთებში. მხლებელ სვანების რიცხვიც უწინდელზე ნაკლები იყო ამ ჟამად. 20 კაცი ჩუბეხევიდამ გაგვყვა, 10 კაციც თენგიზმა გაგვატანა მთებში ცხვრების მოსაკრებად და ოთხნიც ჩვენ ვიყავით. თენგიზმა სთხოვა ჯ—ძეს, რომ საბალახოს ამკრეფლები კომისიასთან წაეყვანა და თავისი შემწეობაც აღმოჩინა. ამის მაგიერად თენგიზმა ნება დაგვრთო გვეხარჯა მთებში ის ცხვრები, რამდენიც საჭირო იქნებოდა, რომლებსაც ბეგარად ავილებდით აფხაზეთ სამურზაყანოს ჯოგების მეპატრონეთაგან. ჯ—ძემ, ვგონებ, იცოდა, რომ კომისიას ეს ახალი და მისი შეუფერებელი მინდობილება უსიამოვნოდ არ ჩაუვლიდა, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხა თენგიზს და იმის წინადადებაზე დაყაბულდა. ჩუბეხევიდამ 19 კაცი ახლები წავიყვანეთ, ძველებში მარტო მოხუცი ვიჩი დავიტოვეთ, როგორც მცოდნე საზღვრებისა და ცოტაოდნად აფხაზურის ენისაც. სოფლად რამდენიმე ცხვარი ვიყიდეთ გზაში დასაკლავად. ამას მოვანდომეთ დღე 4-ს სექტემბერს. ხუთს ადრე გავემგზავრეთ სოფლიდამ.

ჩვენი გზა დასავლეთით მიჰყვებოდა კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს. სადილობისას მდ. ნაკრას ხეობაში შევედით. ამ ადგილას ხეობა უფრო გაშლილია, ვიდრე ზედა მიმდინარეობაში. სოფ. თავრარს აქ სათიბები აქვს. ამ ჟამად მეორედ სთიბავდნენ თივას (მეერი) ამ ადგილას ხეობა ისეთი ბარია, რომ მცხოვრებლები ზამთრობით აქ ინახავენ წვრილფეხ საქონელს. აქ სადილი გრახელით, ნასადილევს «უთურის» ქედს შევუდექით. ეს ქედი, როგორც ვიცით, მდ. ნაკრასა და ნენსკრას შუა ძევს. პირველად დაბურულს ტყეში მივდიოდით და მერე და მერე შიშველში [1]) მივედით. შუაგულს ტყეში, რომელსაც „ებიშს“ ეძახიან, ერთი დიდი წიფელა დგას; წიფელის ერთ გვერდზე ღრმად და მსხვილად ამოჭრილია შემდეგი წარწერა: „გიორგი დადიანი წელსა ჩუღ“. ეს გიორგი დადიანი ამ წელს სამეგრელოდამ გაუდევნია სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს. გიორგი დადიანი სიძე ყოფილა დადიშქელიანებისა; მას ჰყოლია ცოლად ისლამ დადიშქელიანის ქალიშვილი თაშუ [2]). როგორც სიძე, გიორგი დადიანი თავის ოჯახით სვანეთს გადმოხიზნულა. ერთი ღამე თავის ცოლ-შვილით განდევნილს თავადს ამ წიფელას ქვეშ გაუთენია და იმის ნიშნად ხსენებული წარწერაც ამოუჭრია ხეზე. მურზაყანის მამას ციოყს თ. გიორგი შეურიგებია ლევან დადიანთან და ისევ სამეგრელოს დაბრუნებულა.

უთურის აღმართის ველას სადამომდე მოვუნდით; სადაც ღამე ბინად დავდექით, აქ განმარტოებით დგას ერთი დაბერებული ნაძვი, რომელსაც „აფხზარე ლენზილდს“ (აფხაზების ნაძვი) ეძახიან. ჩვეულებრივი ცეცხლი, ჩაი, ვახშამი და ძილი... მეორე დღეს, 6-ს სექტემბერს, ნაბადში გამოხვეულს მესმოდა თავ. ჯ—ძის ძახილი: „ადექით! ადექით! თქვე ოხ..!“ იმ დღეს გავიარეთ ადგილები „ითონარი“, „ტობილარი“ (ტბები) და მერე ტყით ჩავეშვით მდ. ნენსკრას ხეობაში. ნამდვილი ხელ-უხლები, უღრანი ტყეა. უხსოვარის დროიდგან მას ნაჯახი არ მიჰკარებია. ყოველ გვარი ხე იყო ამ ტყეში. ჩავიარეთ ძლიერ დაქანებული დაღმართი და მდ. ნენსკრას მარცხენა ნაპირზე მივედით. აქ მდინარეზე ხიდია, რომელსაც სვანები „მეკეშდა ბოგს“ და მეგრელები «კუნტა ხინჩის» ეძახიან, რაც ორსავე ენაზე ჰნიშნავს „მოკლე ბოგა“-ს. ხიდი მართლაც რომ მოკლეა, სიგრძე ორი საჟენი აქვს და სიმაღლე 8—9 საჟენი ექნება. ამ ხიდს ქვეშ ნენსკრა „ხტის“, ნენსკრა „ღრიალებს“, ხეობა „ბანს ეუბნება“. ხიდს გვერდები და კურტნები სიპის კლდისა აქვს. ბუნებითვე ისე გაკეთებულა ეს კურტნები, რომ დირეების თავები შიგ კლდის შეკვეთილში ვარდება. არა ერთხელ დაღვრილა ამ ადგილას სვან-აფხაზთა სისხლი. როდესაც სვანები აფხაზებს ჯოგებს წაართმევდნენ, უკანასკნელები მდევრად გამოეკიდებოდნენ. თუ ამ ხიდზე გაუსწრებდნენ სვანები, მაშინ აფხაზები უკან ბრუნდებოდნენ, და თუ მიუსწრებდნენ, მაშინ-კი გაიმართებოდა სასტიკი ბრძოლა. აფხაზები მდინარე მარჯვენა ნაპირს ტყეში ჩაესაფრებოდნენ, სვანები მარცხენაში, შეიქნებოდა თოფის სროლა და კაცის კვლა. გამარჯვებულ იისა რჩებოდა, ვინც მეტს მოჰკლავდა მოწინააღმდეგეს. სვანებს რომ ჰკითხო, ყოველთვის ჩვენ გამოვდიოდით გამარჯვებულიო, მაგრამ ახლა ისიც უნდა ვიცოდეთ, რას ამბობენ აფხაზები! ვიჩის ათი ამ გვარი ომი ახსოვს ამ ხიდზე. უკანასკნელი ომი აქ მომხდარა სვან-აფხაზთ შორის 1863—1864 წ. [3]), როდესაც სვანეთის ბოქაულად მამაცაშვილი ყოფილა. მურზაყანის მთები მაშინ ამ ბოქაულის ხელში ყოფილა. მასვე მიუცია ნება ჯოგის წართმევისა, უკეთუ აფხაზები დადებულს საბალახოს არ გადიხდიდნენ. სვანეთში არის ერთი ხალხური სიმღერა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სვანეთის ჯარი ამ ხიდზე შეჰყრია აფხაზეთის დასალაშქრებლად

*) იხ. „ივერია“ №№ 100, 101, 102, 104, 107, 110, 111, 112, 114, 115, 118 და 123.

1) შიშველს ეძახი იმ ადგილს, სადაც ტყე თავდება და იწყება მარტო ბალახით დაფარული ადგილები, ე. ი. საძოვრები. ამ სიტყვას ხმარობენ სვანები და აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმშიაც.

2) თაშ-ი სვანურად ყვავილსა ჰქვიან. აქედამ ეს სიტყვა ისეა წარმოებული, როგორც ქალის მეორე სახელი „თეთრუა“ სიტყვა თეთრისაგან.

3) ამ ბრძოლაში სვანების მხრით ორი მოუკლავთ, ოთხი დაუჭრიათ, აფხაზებში ოთხი მოუკლავთ და ხუთი დაუჭრიათ. ჯოგი—სამი ათასი ცხვარი სვანებს წამოუსხავთ.

სურველია, რომ შემდეგში სხვა პიესებს აირჩევდნენ და თთვეში ორჯელ-სამჯერ გაჰმართავდნენ ხოლმე ქართულს წარმოდგენას.

*** ჯუგათიდ: აქ ხმა ისმის, რომ მტკვარში მალე დაიწყებს სიარულს ცეცხლის გემიო. გემს ჰგზავნის საზოგადოება „ლებედ“. სასურველია, რომ ეს ხმა მალე გამართლდეს. ცეცხლის გემი დიდს შეღავათს გაუწევს მთელს მხარეს საქონლის გადატან-გადმოტანაში და ზარდობამდე თავისუფლად შეუძლიან იაროს.

*** ქუთაისის დედათა გიმნაზიაში გაუთავებია წელს კურსი 21 ქალს, მათ შორის 13 ქართველია და 8 რუსი. სხვათა შორის ერთს ქართველს, სახელდობრ, ტყეშელაშვილს მიუღია ოქროს მენდალი, ხოლო ორს, სახელდობრ, კერესელიძესა და ჯიჯიხიას—ვერცხლის მენდლები მიუღიათ. ასე სწერენ ამ ამბავს გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს“.

*** იმავე გაზეთს სწერენ ქუთაისიდამ, რომ იქაურ საადგილ-მამულო ბანკში დამფასებლად გამგეობასა და ზედამხედველს კომიტეტს აურჩევია ისევ ბ-ნი ლასხიშვილი, რომლის წინანდელი არჩევანიც წლიურმა კრებამ გააუქმა წელს.

*** ქუთაისიდამვე შემდეგი ამბავი მოსულია ზემოხსენებულს გაზეთს: ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა იყიდოს ორ დღიურამდე ადგილი ქუთაისში და დაუთმოს მთავრობას გიმნაზიის ასაშენებლად. აქამდე ქუთაისის გიმნაზიას საკუთარი შენობა არა ჰქონდა.

*** წელს სასულიერო სემინარიაში გაათავა კურსი ოც-და-რვა ყმაწვილმა. მათგანი ერთი რუსია, ერთი ბერძენი და ერთიც ოსი, დანარჩენი სულ ქართველები არიან. ერთი მათგანი, ილია ფერაძე, იგზავნება სახელმწიფო ხარჯით კიევის სასულიერო აკადემიაში სემინარიის მმართველობის გადაწყვეტილებისამებრ. აი გვარი და სახელი კურს-შესრულებულებისა: ბალუაშვილი ი., გიორგობიანი ი., გიორგაძე ნ., დარჩია, დეკანოზიშვილი დ., დუდაბერაშვილი შ., ზუკაკიშვილი რ., ყიფშიძე ი., კაკაბაძე დ., მარგალიტაძე გ., მირიანაშვილი ი., მიხელიძე პ., მატაფიაშვილი ა., მათიკაშვილი ლ., ფერაძე ი., ფერაძე ლ., რაზმაძე ი., რაზმაძე ნ., რეხაშვილი, სანდულაშვილი ი., თინიკაშვილი მ., ტყავაძე მ., ხახუტაშვილი ი., ჩირაკაძე ი.

*** 14 ივნისს პოლიციის მეექვსე ნაწილში სპარსეთის ქვეშევრდომმა ელასკერ-მირზა-ოღლიმ მოჰპარა დუქნიდამ ტფილისის მოქალაქეს საკა ოჰანეზოვს 4 ფუთი ყველი. დამნაშავე დაიჭირეს და ნაქურდალი ყველი უპოვნეს.

*** იმავე დღეს მერვე ნაწილში დაირჩო მტკვარში ბანაობის დროს შვილი ნახჩევნელის კაცისა ნიკოლოოზ ფრანგოვი, 12 წლისა. დამრჩვალის გვამი ვერ იპოვნეს.

—

შეცდომის გასწორება: საბიბლიოგრაფიო და საისტორიო წერილების გუშინდელ № 123-ში მეორე სვეტის 35 სტრიქონი „ამაზედ ალავერდის არქიმანდრიტმა მოახსენა“, უნდა იყოს „ამაზედ ალავერდელს არქიმანდრიტმა მოახსენა“.

◆◆

## სასამართლოს დარბაზიდამ

„ვეფხის-ტყაოსნის“ ქურდები

14 ამ ივნისს ერთი საყურადღებო საქმე გაარჩიეს ტფილისის ოლქის სასამართლოში. ეს საქმე გახლდათ შოთა რუსთველის „ვეფხის-ტყაოსნის“ მოპარვა. ვინ მოიფიქრებდა, რომ ბიწიერი ხელი შეეხებოდა უდიდესის პოეტის უკვდავ და წმინდა ქნარს!.. მაგრამ სადამდე არ მიიყვანს ულირსს კაცს ანგარება და ზნე-ჩვეულების გახრწნილება... შთამომავლობამ არა დაჰზოგა-რა სურათებიანის „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოსაცემლად, ყველასაგან ცნობილმა საქართველოს საუკეთესო შვილმა დიდ-ძალი ფული მოახმარა ამ სასიქადულო საქმეს და ამითი პატივი სცა სამშობლოს და მამშვენებელს რუსთველს და ამავე დროს უკეთურებმა-კი შეურაცხ-ჰყვეს პოეტის სახელი და იმისი წმინდა ქნარი ვექილების საყბაოდ გაჰხადეს სასამართლოს დარბაზში. აი თითონ ეს ამბავიც.

სასახლეს ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, ბ-ნ აბრამ აკოფაშვილს გამართული აქვს სახელოსნო, სადაც წიგნებს ჰკაზმავენ და ყდებს აკეთებენ. ამ აკოფაშვილს ქარგლად ჰყოლია ორი ყმაწვილი კაცი — სომეხი ტიგრან შახინოვი და ქართველი ივანე როთველაძე. როდესაც სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“ დაიბეჭდა, ამ პოემის გამომცემელმა ბ-ნმა გ. ქართველიშვილმა აკოფაშვილს მიანდო წიგნების ყდის გაკეთება. თუ აკოფაშვილის სიტყვა მართალია, სულ დაბეჭდილა ათას სამასი ცალი. მაგრამ ეს არაფერი. საქმე იმაშია, რომ ტიგრან შახინოვს და ივანე როთველაძეს ნელ-ნელა უპარავთ „ვეფხის-ტყაოსანი“, უსაღებიათ იაფ ფასად თუ ქუჩებში და თუ ბაზარში. ქურდობაც ხერხიანად სცოდნიათ. როცა სალამოთი ბიჭი დაჰგვიდა ხოლმე სახელოსნო ოთახს, ქარგლები მოაგროვებდნენ ნაგავს და ჩაჰყრიდნენ კალათაში, რომელშიაც „ვეფხის-ტყაოსნის“ რამდენიმე ცალი ეწყო, მერე გაიტანდნენ კალათას და ვეფხის-ტყაოსნიან ნაგავს სახელოსნოს გარეთ მივარდნილს კუთხეში ჰყრიდნენ. წიგნებს ნაგავი ეყარა და აბა ვინ შენიშნავდა, რომ ამ ნაგავში ძვირფასი ყდიანი „ვეფხის-ტყაოსანი“ იყო ჩაფლული. ბოლოს, ამ წლის დამდეგს, იანვარში შემთხვევით „ვეფხის-ტყაოსნის“ ორი ცალი აღმოაჩინეს ერთ ხარაზთან და ამაზედ მიიტანეს ქურდობის კვალი.

შახინოვი და როთველაძე გამოტეხილიყვნენ გამოძიების დროს. სასამართლოშიაც გამოტყდნენ და სთქვეს, რომ მართალია, ჩვენ მოვიპარეთ „ვეფხის-ტყაოსნის“ ორი წიგნი და ეს ქურდობა აი რისთვის ჩავიდინეთო: ჩვენ ორთავეს ცუდი ავადმყოფობა შეგვხვდა საროსკიპო სახლში, შიშის გამო დედ-მამას ვერ გავუტყდით, რომ ფული გამოგვეერთმია, და ისევ ქურდობა ვარჩიეთო. „ვეფხის-ტყაოსანი“ ხარაზს მივყიდეთ და იმან გვიწამლაო... საქმიდამ აღმოჩნდა, რომ შახინოვი და როთველაძე მართლაც-და ცუდის ზნისანი ყოფილან და ისე უდრო გარყვნილნი, რომ ჯერ თუმცა სრულწლოვანნი არც-კი არიან, მაგრამ ავი ჰირი მაინც შეხვედრიათ. საზარელი და შეუბრალებელი მოსასმენელი იყო, როცა ჯერ კიდევ ბავშვი როთველაძე და ახლად გინგლ-ამოსული შახინოვი ურცხვად ლაპარაკობდნენ, თუ როგორ შეეყარათ ცუდი ავადმყოფობა და რა ნაირად არჩენდა ვილაცა სალახანა ხარაზი!.. მაგრამ რას იზამ, როცა ცხოვრებასთან ერთად ზნე-ჩვეულებამაც პირი იცვალა და უკულმართობას დაადგა!

აბრამ აკოფაშვილმა მოახსენა მსაჯულებს, რომ სულ მომპარეს „ვეფხის-ტყაოსანი“ ორმოც-და-ორი ცალიო და თითო წიგნი ყდიანი ღირს თხუთმეტი მანეთი, უყდო-კი ცამეტი მანეთიო... ამასაც არ დამაჯერეს: ქართველ პედაგოგის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო „ბუნების კარი“ და აქაურის გიმნაზიის ინსპექტორის ი. დრბოლლაის „Пособіе къ изученію латинскаго языка“ ჩემს სახელოსნოში ეწყო, მე მქონდა აღებული ამ წიგნების ყდების გაკეთება და ქურდმა ქარგლებმა არც მაგ წიგნებს დააკლეს ხელი, დაბეჭდილს ფურცლებს იპარავდნენ და წონით ჰყიდნენ მედუქნეებსაო... აკოფაშვილმა ზარალი და დანაკარგი ას თუმანზე მეტი შეაფასა. დამნაშავენი-კი ამბობდნენ, რომ ორის „ვეფხის-ტყაოსნის“ მეტი არაფერი მოგვიპარავს რაო... რასაკვირველია, ვექილებსაც ბრალდებულების მხარე ეჭირათ. აქ საჭიროა ისიც დავუმატოთ, რომ ტიგრან შახინოვი უფროსი ყოფილა ივანე როთველაძეზედ, გავლენა ჰქონია და გაუბრიყვებია იგი. მეტი ბრალიც, უეჭველია, შახინოვს უნდა დასდებოდა.

სასამართლომ ჯეროვანი სასჯელი მიუსაჯა ბრალდებულებს: შახინოვს გადაუწყვიტა ერთის წლით დატუსაღება, როთველაძეს-კი რვა თვით. ისე არხეინად მოისმინეს ეს სასტიკი და სამართლიანი განაჩენი ბრალდებულებმა, რომ წარბიც არ შეუხრიათ... სიცილით გამოვიდნენ სასამართლო დარბაზიდამ. ჩვენც გავიცინებდით ამ საქმის გამო, რომ სამწუხაროც არ იყოს...

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ჯვეათის მაზრა, 5 თიბათვე. ქართული ანდაზა „უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“ სწორედ რომ ჯვეათის მაზრელებზედ არის გამოჭრილი. აბა ამ ორიოდე კვირის წინად ვინ წარმოიდგენდა, რომ წელს მაინც უკლებლად არ ჩაიმკიდნენ ეს უბედურები თავიანთს წლის მოსავალს და მერე რა მოსავალს: ავის თვალით არ ინახებოდა, იმისთანა ყანები ედგათ. იმავ გაზაფხულიდან კარგი პირი უჩანდა აქ პურის მოსავალს და მერე კარგი ამინდებიც დაუდგა, თავის დროზედ თბილმა და ჭუჭუნა წვიმებმა ერთი-ათად გააძლიერა და გააუკეთესა. თვით მცხოვრებლებს უკვირდათ წრევანდელი მოსავალი, კარგა ხანია, იძახდნენ: ამისთანა მოსავალი აღარ ყოფილა, ეტყობა ღმერთმა ჩვენსკენაც გადმოიხედა, ეტყობა წრევანდელის უხვ მოსავლით უნდა ერთი-ორად გადაგვეხადოს ის, რაც შარშან და შარშან-წინ დაგვაკლოვო. თუმცა ასეთ ნაირად შეჰხაროდნენ წრევანდელს მოსავალს, მაგრამ გული მაინც გულის ადგას არ იყო და ყველა მოუთმენლად ელოდა ყანაში ნამგლის შეტანას. თუ ღმერთმა ბძანაო, იძახდნენ: და წრევანდელი უხვი მოსავალი ჩავიგდეთო, ჩვენი კოჭი ალჩუს დაჯდება, ჩვენი დავარდნილი ოჯახი ფეხს მოიკიდებსო და პურზედ აღებულს ვალს პურითვე გადავიხდითო. მაგრამ დახე იღბალს! ბედმა უმტყუნა, იმედი გაუცრუვდათ მაშინაც-კი, როდესაც თითქმის ყოველი ფერი მზად იყო, როდესაც საქმე სახრინავზედ იყო მისული, როდესაც კაცს შეეძლო დაბეჯითებით ეთქვა, ეხლა-კი ჩემი სარჩო ორმოში მაქვსო, როდესაც ქერები გაჭრილი იყო და

---

და, სიმღერის თქმით, ნაცარ-ტუტა აუდენია... აფხაზები ყოველ წელს ანგრევდნენ ამ ხიდს თურმე, რომ სვანებს გზა შეჰკვროდათ. კურტნების გაფუჭებასაცა სცდილან, მაგრამ ვერაფერი გაუწყვიათ სიპ კლდესთან. ჩვენც ჩაგდებული დაგვხვდა ეს ხიდი. სვანებს ბრაზები მოსდიოდათ. უცებ მოსჭრეს ხეები და ორს საათში ხიდი მზად იყო, რომელზედაც ჩვენ მშვიდობიანად გავედით. ვიარეთ კარგა ხანს და მივედით „მაშრი ჭალას“ (ფართო ჭალა), ან, რაც ერთი და იგივეა, ჭუბერს. ეს ჭუბერი ქვედა მიმდინარეობაა მდ. ნესკრისა. აქ ძველად ხალხს უცხოვრია. აქ ვნახე კოშკი და დანგრეული სახლები. ვიჩის სიტყვით, აქ სადღაც მიმალულად საყდარი არის, გამოტენილი სიმდიდრით, მაგრამ მას ცოდვიანი ვერ მიაგნებს, რადგან ასეა ღვთის ნებაო. ჩემს კითხვაზე—სად წავიდა აქაური მცხოვრები და რათ მიატოვა ეს მდიდარი ხეობაო, ვიჩიმ გძლად მითხრა მიზეზი და მე მოკლედ მოვიყვან. აქაურნი მცხოვრებნი წამოსულან ზემოთ სვანეთში, მათ დაეპატრონნენ თურმე მეგრელის თავადიშვილები, აწუხებდნენ, ვერ გაუძლეს ბატონებს და მიატოვეს ეს მშვენიერი ადგილიო.

მთელი დღე ტყეში ვიარეთ და ტყეშივე გავათენეთ ღამე. მეორე დღეს შუადღემდე ისევ ტყეში გვქონდა გზა და შემდეგ-კი აღმართს შევუდექით და ავიარეთ. აქ ერთი მოზრდილი მინდორია, სახელად „შავა-ლარა“ [4]). აქ სადილი გიახელით და შემდეგ გავსწიეთ გზაზე. მივედით „ჭაბანს“. მთელი დღე საჯოგეებზე ვიარეთ. აქედამ თავს დავსცქეროდით მრავალ ხეობას, რომელნიც ენგურის მარჯვენა ნაპირიდამ გეზად შეუდგებიან კავკასიის ქედს. 6 საათზე წვიმამ დაუშვა შევჩერდით, სანამ წვიმა გადიღებდა. ცხენები ერთმანეთზე გადავასადავეთ. წვიმას მსხვილი სეტყვა მოჰყვა, ისეთი მსხვილი, რომ ცხენებმა იმისი თავზე რახა-რუხი ველარ მოიჭირვეს, გაფრთხენ და ალვირები ნაკუწ-ნაკუწად გვიქციეს. ღამე აქ დავრჩით. ახლო მწყემსის ქოხი იდგა. მწყემსი იქ არ იყო და იმისი ქოხი შეშად ვიხმარეთ. წამოვაქციეთ ვახშმად ორი ცხვარი. პურების გამოცხობა გვინდოდა. რა არ ეძებეს სვანებმა, ახლო-მახლო ერთი ქვა ვერ მონახეს, რომ თავისებურად პურები გამოეცხოთ. მაშინ ჩვენმა სვანებმა მიჰმართეს იმ ხერხს პურის გაკეთებისას, რომელიც ცნობილი იყო პირველ-ყოფილ ხალხებში, როდესაც კაცობრიობამ პურის გამოცხობა ჯერ კიდევ არ იცოდა. მოცომეს დაფქვილი, დაარგვალეს ცომი და როცა მოხარშული ხორცი ქვაბიდგან ამოვალაგეთ, იმის ნახარშში (წყლის ნაცვლად) ცომის გუნდები ჩაყარეს და მოხარშეს. ამ ნაირად ვახშამზე მოხარშულს ხორცს მოხარშულივე პური, მართალი გითხრათ, ძლიერ უგემურად შევატანეთ. იმ ღამეს წვიმა არ მოსულა.

მეორე დღეს 8-ს დარი დაგვიდგა. რამდენიმე მანძილი რომ გავიარეთ ჩვენის ბინიდამ, შევდექით ერთს გრძელს ქედზე „ჯოდი სვიკვზე“ (გრძელი ხერხემალი). ამ ქედიდამ დასავლეთით სჩანდა: სამეგრელო, სამურზაყანო, წებელდა, შავი ზღვა, ხეობები: დალი, კვანი [5]), გვანდრა, ჩხალთა. ამ ხეობებში მომდინარე წყლები ყველა კოდორს ერთვის მარჯვნივ. აქედამვე ვხედავდით ქედ-ხეობებს: ლაღრალ ზაგარს [6]) (აფხაზების ბაშკაფსარა), დარჩვს, თელტობს, აჰარვას და სხვას. ამ ადგილებში სილამაზითა და სიმდიდრით ყველას დალის ხეობა სჯობია. ამ ხეობაზე მე წინად მქონდა ლაპარაკი [7]) და აქ აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ აქ უწინ სცხოვრობდნენ მარშნიები, რომელნიც უმოყვრდებოდნენ თავ. დადიშქელიანებს. მაგ., თ. მურზაყანის დედა ამათი ქალი იყო; მურზაყანის და ესაე მარშანიას ჰყავდა ცოლად. მურზაყანმა აუშენა თურმე თავის სიძეს სვანური ქვის სახლი, რომელშიაც ეხლა რუსი დგას (!). როდესაც ჯოდი სვიკვი გავიარეთ, ჭენჭოლს მივედით. აქ სადილი ვსჭამეთ. გავსცილდით ჭენჭოლს. დალის ხეობაში აქედამ გზა მიდიოდა. ერთი სვანი მაშინვე გზას მივარდა და დაიძახა: „ლათ ოთხეიახ ჯვეგ“! ეს „ლათ ოთხეიახ ჯვეგ“ [8]) ელდასავით ეცა სვანებს. ეს იმისი ნიშანი იყო, რომ სვანები ამ ჯოგიდამ საბალახოს ველარ აიღებდნენ. ჯოგები აფხაზებს სხვაც მრავალი ჰყოლოდათ იმ საჯოგეებში, რომელიც ჩვენ აქამდე გავიარეთ, მაგრამ როგორღაც ჩვენი მისვლა გაეგოთ და სულ გაერეკათ აფხაზეთის ახლო ადგილებში. სვანებმა ამ ჯოგის გაკიდება მოინდომეს, მაგრამ შეგვეშინდა ერთმანეთს არ მიაკვდნენ ესენიო და მწყემსები და არ გავუშვით. ჭენჭოლიდამ დარჩვის ხეობაში ჩავედით. ზოგს მინდვრად გვინდოდა დადგომა, ზოგს ტყეში, რადგან წვიმა მოსალოდნელი იყო. დავდექით ტყეში. ხვალისათვის ამ ადგილებში აფხაზეთისა და სამურზაყანოს მხრით კაცებს ველოდით საზღვრების საჩვენებლად. ჯ. საჭიროდ სცნო რამდენიმე დარიგება მიეცა სვანებისათვის ამ საქმის შესახებ და თავისთან მიიხმო. სხვათა შორის ჯ. ჰპოილო ხელ-შეკრულობის წერილები, რომელიც დაუდვიათ ერთის მხრით თ. მურზაყანსა და მეორეს მხრით აფხაზეთ-სამურზაყანო-სამეგრელოს მებატონეებს. ეს ხელ-შეკრულობანი დაწერილია 1846 და 1848 წლებში. ამ ხელ-წერილებით თავ. შერვაშიძეები, ანჩაბაძეები, მარღანიები, ჩქოტუეები, ბატონიშვილები და სხვები ჰპირდებიან „სვანეთის მთავარს“ კონსტანტინე დადიშქელიანს, რომ იგინი ყოველ წელს მისცემენ მას დიდებულს ხაზას იმ საზღვრებში, რომელსაც ეხლა ხაზინა ეპატრონება. ჯ. უთხრა სვანებს, რომ აი ეს საბუთიც მოიხსენიეთ, როცა აფხაზებ სამურზაყანოელებმა საზღვარზე ცილობა აგიტეხონო. სვანებმა მიუგეს, რომ ჩვენ ამ ქაღალდებს გარეშეც იმდენი საბუთი გვაქვს, რომ ვის შეუძლია ცილობა გაგვიწიოსო, მაგრამ როგორც ხსენებული წერილობითი, ისე სვანების სიტყვიერი საბუთებიც უქმად დაგვრჩა, რადგან საზღვრების მოცილეებ აფხაზეთ-სამურზაყანოდამ მოსული ისე არ გვინახავს, როგორც ჩვენი ყურები. მართალია, როგორც გვქონდა ცნობა, სოხუმის განყოფილების უფროსს თავის დროზე მოეხდინა განკარგულება, რომ დანიშნულს დროსა და ადგილს საზღვრის მაჩვენებელი მოგვგებებოდა, მაგრამ ჩვენთან არავინ გამოცხადებულაო.

თავ. სვანი

(დასასრული იქნება)

---

4) „შავა-ლარა“—შავი სათიბი, ე. ი. უბედური სათიბი.

5) ქარტაზე—საკენ.

6) ქარტაზე: ЛЯГРЯМЪ ЗЯГЕРЪ. ლაღრალ ზაგარ ჰნიშნავს: სამღერელო, ან სიმღერის ზურგს, ქედს.

7) იხ. ოთხი დღე მდ. ენგურის, ცხენის-წყლისა და რიონის სათავეებში.

8) ტუშინ წაუყვანიათ ჯოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანებიც შემოსული. ასე იყო საქმე, მაგრამ მტკვარმა ვილას რა დაალალა, თავისს ულმობელს ტალღებში შთანთქა ნახევარ მაზრის წვა და დაგვით ნახნავ-ნათესი და წელსაც ულუკმაპუროდ დასტოვა მრავალი ოჯახი. წრევანდელს წყალ-დიდობას თითქოს მოელოდნენ და ამისათვის სამამასახლისოები შეძლებისადა გვარად სცდილობდნენ ნაპირების გამაგრებას, ზოგს საშიშ ადგილას მდინარის ნაპირას მოშორებით აჰყავდათ მიწის ყორეები, რა არის გადმოვარდნილი წყალი ეგებ ამან მაინც შეიმაგროსო, მაგრამ ყოველივე იმათი ცდა ამაო გამოდგა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჯევათს ქვეით მტკვრის ნაპირები დაბალია, რის გამოც წყალი ყოველთვის აქ გადმოვარდება ხოლმე. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თვით ადგილობრივ მცხოვრებლებს მტკვრიდგან გაჰყავთ მამულების სარწყავად არხები, რომელთა სათავეებს თავის დროზედ არ ამაგრებენ. ამის გამო წყალი მოიმატებს თუ არა, ჰგლეჯავს არხების სათავეებს და წალეკავს ხოლმე არხებს ახლო-მახლო მდებარე მამულებს. წრევანდელი ზღვა წყალი ველარ დაეტია ჯევათის ქვეით თავის საწყლეში და გადმოვიდა ნაპირებიდგან, თან ალაგ-ალაგ გაგლიჯა არხების სათავეები. წყალი მოედო მთელს არე-მარეს. ზოგიერთი სოფლები: ქელონი, მამუშლი-კოროთლი და სხვანი სულ წყალში იდგნენ, სახლებში დგომა აღარ შეიძლებოდა, ნავებით დასეირნობდნენ თვიანთ ეზოებში. ბატებსა და იხვებს დარჩენოდათ ეს სოფლები. თვით ჯევათში მარტო ეკკლესია ღა იდგა მშრალს ადგილზედ, ნაქონის წყალით სავსე იყო აქაურობა. აქაც ბევრმა დაცალა სახლი და გამოვიდა მინდვრად საცხოვრებლად.

9 მაისს ჯევათში რუსის გლეხ-კაცობა დღესასწაულობდა თავის ეკკლესიის დღეობას. ხალხი გამოუთქმელს სიმხიარულეში იყო. ამ ეკკლესიას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვსო, გაიძახოდნენ: ჩინებულად უნდა მივეგებნეთ და ჩინებულად უნდა გავატაროთ დროეო. მთავრობა თუ დაგვიცავს და დაგვეხმარება, ამ ეკკლესიის გამო დაგვეხმარება, უჩვენოდ ხომ ეს ამისთანა მშვენიერი ეკკლესია უქმი იქნებაო. ერთის სიტყვით, ამ მრავალტანჯულ გლეხ-კაცობას იმ დღეს სიამოვნებით სახე უბრწყინავდა, რაღაც ნამეტურს ბედნიერებასა ჰგრძნობდა. მაგრამ ეს არ გადაჰქცევია სიცილი ტირილად, სიმხიარულე მწუხარებად. სწორედ 12 საათი იქნებოდა, რომ ხალხში ელვის ზარივით გაისმა: „არიქათ, დაგვიღუპენით, წყალი გადმოვარდა ყანებისაკენაო“. ელდასავით ეცათ ეს საუბედურო სიტყვები, ყველას ლუკმა ხელიდგან გავარდა. იმ დროს საზოგადო სადილზედ ისხდა ხალხი, როცა ყარაულმა შეატყობინა ეს ამბავი. გიჟებივით სადილიდგან წამოცვივდნენ და გაეშურნენ ყანებისაკენ. ადგილობრივმა ბოქაულმაც მსწრაფლად შეკრიბა სხვა ხალხიც, მაგრამ ყოველი იმათი ცდა ამაო გამოდგა: წყალი ველარ შეიმაგრეს და ნახევარ საათში წალეკა მთელის წლის ნაშრომნადაგი, სივრცით 50 დესეტინა. ზარალი გამოანგარიშებულია 4,790 მან. ხალხის ცოდვით ქვაც-კი ატირდებოდა. დიდით პატარამდე მოთქმით-და სტიროდნენ: „რაღა ვქნათ, რამ უნდა გვარჩინოსო, საით დავიკარგნეთ, ნეტა ამისთანა კარგი ყანები მაინც არა ყოფილიყოვო“. ადგილობრივი მთავრობა სცდილობს რუსის გლეხ-კაცობის ზარალი გადახდეს სოფ. როგანშოელების საზოგადოებას, რადგან ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ იმათ ძალათ აგლიჯეს არხის სათავე და წყალი მისცეს რუსების ყანებსაო. რამდენად მართალია ეს, ამას გამოძიება აღმოაჩენს: მხოლოდ ეს კია, რომ ამ ორ მეზობელ შორის ჰსუფევს დაუძინებელი მტრობა და შუღლი მამულების გამო. წალეკა რა ეს ზემოხსენებული მამულები, წყალმა გასწია მულანისკენ და თან წაიტანა, რაც-კი დახვდა გზაზედ. 11 თუ 12 ივნისს წყალმა გადახეთქა მეორე ადგილას ოდესღაც ნამყოფი არხის სათავე. სალიანიდგან წავიდა ცეცხლის გემი დატვირთული ხე-ტყით, მაგრამ ვერა გააწყო-რა. თვით გემი კინაღამ მულანის მინდორზედ გარიყა. წყალი ეხლა ახჩალაში ჩამოვიდა (სალიანს ახლოა). ახჩალის მამულები იჯარითა აქვთ ხაზინიდგან აღებული ორს ძმას ფიცრალაურებს და ესენი თავის მხრივ ადგილობრივ მცხოვრებლებზედ სცემენ იჯარით. პურის მოსავალი დაასწრეს, აიღეს უკლებლივ, მხოლოდ დარჩათ შირბარი, ბამბა, ბრინჯი და ბაღეულობა, რომელზედაც ხელი უნდა აიღონ. ეხლა მკა აქეთ გათავებულია. დაზარალებულია ზემო სოფლები. ზარალს საზოგადოდ ერთ მილიონამდე ანგარიშობენ. არც მარცხენა მხარე გაუშვა მტკვარმა დაუზარალებელი, აქეთაც ბლომად წალეკა ყანები. წყალი მოედო მთელს აქეთა მხარეს. სალიანსა და აჯიქაბულის სადგურს შუა შეიკრა გზა, ფოსტა თავის დროზედ ველარ მოდიოდა და მგზავრები ხომ სულ ველარა ჰბედავდნენ ადგილიდამ დაძვრას. ბოლოს, როგორც იყო, ისევ პოლიციამ გვიშველა. ძველი გზა დასტოვა და ახალი გაკვალა, მაგრამ ერთ ადგილას მაინც წყალს ვერ ასცდა, აქ გამართა ნავი, ასე რომ იქ, სადაც ორის კვირის წინად ყანები ბიბინებდა, დღეს წყალი ჰღელავს და პატარა ნავი დასცურავს მგზავრების გადასაყვან-გადმოსაყვანად. აქედგან წყალი მიდის მარილის ამბრებზედ (სალიანის ახლო მარილიც არის) და იქიდგან ზღვას ერთვის. არც სალიანს ქვევით ადგილებს სტოვებს წყალი უყურადღებოდ. ნიკოლოოზის ვატაგაზედ ორიოდე შენობა აალებინა, ზიუდოს კულტუკი ხომ გააბედნიერა და მრავალი უსწორ-მასწორო ალიზის სახლი დაშალა. ვინ ჩამოსთვლის, ერთის სიტყვით, დაწვრილებით ყველა იმ ზარალს, რაც წელს ჯევათის მაზრას წყალ-დიდობამ მიაყენა. ეს ზარალი ჯერ კიდევ რა ზარალია, ზარალი მაშინ იქნება, როცა ხალხში ავადმყოფობა გაჩნდება, რაც უეჭველად მოსალოდნელია. თუ შარშან, როდესაც გაცილებით წყალი ცოტა იყო, სალიანის ავადმყოფობას წყალ-დიდობას აბრალებდნენ, მაშ წელს რაღას უნდა მოველოდეთ.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მე-XXII-ე)

Посольство Θедота Елчина и свящ. Павла Захарьева въ Дадіанскую землю (1639—1640), სერგი ბელოკუროვისა.

14 ქრისტეშობისთვეს 1636 წ. მოსკოვს თერგიდგან ამბავი მოვიდა, რომ დადიანის ელჩი მღვდ. გაბრიელი ითხოვს ნება-რთვას მოსკოვში წამოსასვლელადო. მისვლა-მოსვლა რუსეთსა და სამეგრელოს შორის ამ დროიდგან დაიწყო. დადიანის აზრიც ის იყო, რაც კახეთის მეფე თეიმურაზისა. იგინი რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობას ითხოვდნენ, მაგრამ ეს ქვეშევრდომობა მარტო ცარიელი სიტყვა იყო (было фиктивное). ქვეშევრდომობის სახელ-წოდებით იმათ თავიანთ ქვეყნებისათვის კეთილდღეობისა და შემწეობის მოპოვება ჰსურდათ. ამას გარდა, დადიანს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდეგ «ყაზახნი ჩემი ქვეყნის აკლებას იმარებენო».

დიახ, მოსკოვში რომ ელჩის გაბრიელის ამბავი მოვიდა, მაშინ იქ იყო თეიმურაზის ელჩი ნიკიფორე. იმისგან მთავრობამ ზოგიერთი ცნობა და ამბავი შეიტყო სამეგრელოზე. მერე დაუხანებლივ სამეგრელოს ელჩი მოსკოვს მიიწვია. მამა გაბრიელმა მოსკოვს მიაღწია 1638 წ. 15 გიორგობისთვეს და მეორე დღესვე დაწვრილებით გამოჰკითხეს მიზეზი მგზავრობისა. გაბრიელმა ყველაფერი უამბო. 12 ქრისტეშობისთვეს მამა გაბრიელი მიიღო თვით მეფემ. გაბრიელმა მეფეს გადასცა დადიანის ლეონტის (ალბად ლევანის) წერილი, რომლითაც იგი ითხოვდა რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობას. ამას შემდეგ დადიანის ელჩი დიდხანს დაანარჩუნეს რუსეთში. ამასობაში იმას სხვა-და-სხვა ამბავს ჰკითხავდნენ, ჰკრეფავდნენ ამბებს შესახებ სამეგრელოს სამთავროსი, იმის ხალხისა, რჯულისა და სხ. მეფის განკარგულებისამებრ, მამა გაბრიელს პროტოპოპმა ნიკიტამ ჰკითხა: როგორ გიყვართ მართლ-მადიდებელი სარწმუნოება, გაურყვნელად და მთლიანად, თუ отпадшю отъ греческаго православія и не примѣсну-ли соблюдаете къ жидовскому зловѣрію, къ еллинскому поганому нечестію и къ латынскимъ ересемъ и ко агарянскимъ прелестемъ и ко аріанскимъ и ко всякимъ еретическимъ блядемъ. ამას გარდა გაბრიელს მრწამსი ბერძნულად უნდა წაეკითხა. გაბრიელმა მოახსენა, რომ ჩვენი სარწმუნოება ქართველების სარწმუნოებასთან ერთია და ყოველივეში თანახმა და თანასწორია ბერძნულის მართლ-მადიდებლობისაო. „სიმბოლოს“ ბერძნულად ვერ წავიკითხავ, რადგან ბერძნული ენა არ ვიციო. გაბრიელს ძრიელ გაუკვირდა, რომ სარწმუნოებაზე დაუწყეს ლაპარაკი, მაშინ-როდესაც იგი სულ სხვა აზრითა და საქმისთვის გამოეგზავნათ...

ბოლოს 5 აპრილს 1639 წელს რუსეთიდგან განსაკუთრებულნი ელჩნი გაგზავნეს სამეგრელოს დადიანთან მოსალაპარაკებლად. საელჩოში ითვლებოდა ელჩინი და მღვდელი პაველ. ელჩინს გრამატებიც წაატანეს და უბრძანეს ყოველივე დაწვრილებით შეეტყო და, თუ შესაძლებელი აღმოჩნდებოდა, დადიანი ერთგულ ქვეშევრდომობაზე დაეფიცებინა. ორს ივნისს 1639 წ. წამოვიდნენ მოსკოვიდგან და იმავე წელს 13 ნოემბერს სამეგრელოს საზღვარზე მოვიდნენ. ელჩები დადიანმა გულგრილად მიიღო. ამისი მიზეზი ნამდვილად რა იყო, არა სჩანს: სიკვდილი დადიანის ცოლისა, რომელიც იყო უმთავრესი მიზეზი რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობის თხოვნისა, თუ დადიანის ელჩის მოსკოვში დაგვიანება, ანუ სხვა რამ გარემოება. რაც უნდა იყოს, მოსკოვის ელჩები დადიანმა ინახულა ნახევარის წლის შემდეგ, აპრილს 1640 წლისას. ელჩები რამდენისამე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ დადიანთან გამოუთხოვებლად, რადგან დადიანმა არ მიიღო ისინი, თუმცა წერილი წაატანა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ქვეშევრდომობაზე მოსალაპარაკებლად ჩემს სანდო კაცს გამოვგზავნიო...

შემდეგ ამისა ბელოკუროვს მოჰყავს ჩვენება მიტროპოლიტის ნიკიფორესი შესახებ სამეგრელოისა. ამ ჩვენებაში ნათქვამია, რომ სამეგრელოში 60,000 მამათა სქესის მცხოვრებიაო, დადიანი ოსმალეთს ყოველ წლივ უგზავნის 100 ვაჟს და 80,000 (?) полотен всяких (ტილოს). მოყვანილია აგრეთვე წერილები რუსეთის ხელმწიფისა დადიანისადმი და დადიანისა რუსეთის ხელმწიფისადმი, ჩვენება ელჩინისა და სხვათა შესახებ სამეგრელოს რჯულისა, ქვეყნისა, ხალხისა და მრავალი ფრიად საინტერესო ცნობები.

ესმა

## წვრილი ამბები

### ქალები ჩინეთში.

ჩინეთში ქალები არ უყვართ, ძნელად მოინდომებს რომელიმე ქალი და ჩინეთს თავისს სამშობლოს უწოდებს, რომ იცოდეს, თუ როგორ ექცევიან იქ ქალებს და რა აზრისანი არიან საზოგადოდ ქალებზე. მართლაც-და ის, ვისაც უმაწვილები და ბავშვები უყვარს, ვერც-კი წარმოიდგენს, თუ როგორ არსებობს ჩინეთში კანონი, რომლის ძალითაც მშობლებს ნება აქვსთ დაჰხოცონ და უპატრონოდ დასტოვონ თავისი შვილები. ასე სასტიკად ორივე სქესის უმაწვილებს არ ექცევიან ჩინელები, მხოლოდ ქალები არიან ამ მხრით უბედურნი, მხოლოდ ისინი იტანჯებიან, «იმიტომ-რომაო, ჰღაღადებს ჩინელთა კანონი: ქალებს ჭკუა და გონება არა აქვსთ და გაჭირებაში თავს ვერ შეინახავენ, ლუკმა პურს ვერ მოიპოვებენ, ვერ ისაზრდოვებენო».

უმაწვილების ხოცვის ჩვეულება ჩინეთში ხი-გოანგ-ტის მეფობის დროიდგან შემოსულა და აქამდე მბრძანებლობს. ჩინელები სცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეს ჩვეულება ჩვენს სასტიკობას-კი არა ჰნიშნავს, არამედ იმას, რომ ეკონომიურად განვითარებულნი ხალხნი ვართ და არ გვინდა მეტის-მეტ გამრავლებით ხალხი დიდს უბედურებაში ჩავარდესო.

მოგვყავს ერთი ნაწყვეტი ხი-კონგიდგან, სახალხო ლექსების კრებულიდგან, რომლიდგანაც ნათლად სჩანს, თუ როგორა ჰყავთ ათვალწუნებული ჩინელებს დედათა სქესის უმაწვილები: «როდესაც ვაჟიშვილი დაიბადება, ტახტზედა აწვენს; ზედ მდიდრულს ნაქსოვებს ახვევენ; სათამაშოდ ბავშვს სკიპტრას აძლევენ; იმისი ცრემლი მთელი უბედურებაა ოჯახისათვის; აბრეშუმის მოწყულში ახვევენ უმაწვილს, რადგან იგია მეთაური სახლისა, იგია მეფე ოჯახისა. ხოლო თუ ქალიშვილი დაიბადა, მიწაზედ აწვენენ და ძონძებს ახვევენ; სათამაშოდ კრამიტის ნატეხს აძლევენ. ამ უმაწვილისაგან არც სიკეთეს მოელიან მშობლები და არც ზარალს, არარად მიაჩნიათ. ბედად ახლად დაბადებულს მარტო ოდენ ისღა მოელის, რომ საჭმელი ჰხარშოს და ჰკეროს და შრომაში ამოირთვას სული».

როგორც ჰხედავთ, ქალი მოკლებულია დედის ალერსს უმაწვილობისას, და როცა წამოიზრდება, არც მაშინ ასწავლიან, არა სწვრთნიან, არ აღზრდიან, რომ ქვეყნის ავისა და კარგისა ცოტა რამ გაიგოს ამ დაჩაგრულმა ნახევარმაც კაცობრიობისამ. ასე აღზრდილს ქალს ორი მშვენიერი თვისება სჩემდება: იგი ხასიათით მშვიდია, წყნარი და თავისის ოჯახისთვის თავ-გამოდებული. პატარაობიდგან ბედით დაჩაგრული ჩინელი ქალი თავ-მოყვარე არ არის და თავისის ოჯახის ერთგულია.

აი ამ მშვენიერ თვისებათა შესახებ რა აზრისაა ჩინელების ერთი ახირებული კრებული: „თუ კეთილია ქალი, იგი დედაკაცი არ არის, არ არის დედაკაცი აგრეთვე მაშინაც, როცა ბოროტია, იმიტომ-რომ დედაკაცს არც ბოროტი ხასიათი უნდა ჰქონდეს და არც სათნო იყოს. იგი მორჩილი მონა უნდა იყოს და აი ეს მორჩილებაა მთელი იმისი ღირსება, ეს მორჩილებაა იმისი საუკეთესო თვისება. გარდა ამისა მამაკაცი საზოგადოებაში უნდა სცხოვრობდეს, დედაკაცი სახლის კერას არ უნდა მოშორდეს. დეე ორივენი თავ-თავისს ხვედრს დაკმაყოფილდნენ, ნუ გამოიცვლიან უფლის მიერ დაწესებულს ალაგს და ძველის-ძველს ჩვეულებასა და წესსა და რიგს შესაბამის პატივისცემით მოექცნენ“.

შვიდის წლიდგან ქალიშვილს აშორებენ ძმებს, ცალკე სახლში გადაჰყავთ და იქ უნდა იყოს გათხოვებამდე. აქ უმაწვილი ქალი ყურ-მოჭრილი მონაა თავისის დედისა, ან უფროსის დისა და ისინი ამზადებენ საოჯახოდ, ისინი სწვრთნიან, რომ ქმარს რიგიანი ცოლობა გაუწიოს და იცოდეს ყველაფერი, რაც იმისს სქესს შეეფერება.

ჩინელი ქალი სახლიდგან არასოდეს გამოდის და თუ ხანდახან მოირთვება ხოლმე, თავის ოჯახისთვის თუ სცდილობს შეისწავლოს რამე და განათლდეს ცოტად არის მაინც, ისევ თავის ოჯახისთვის. როცა წამოიზრდება ჩინელი ქალი, ვერ გათხოვდება, ეს გათხოვება სამძახისი იქნება, თუ იმისი ოჯახი უზნეოა; თუ იმისს მშობლებს მეფის წინააღმდეგობა ჰბრალდებათ; თუ იმისი რომელიმე ნათესავი დასჯის ღირსი გამხდარა; თუ იმის ოჯახში რამე მემკვიდრეობითი სენი მძვინვარებს, და თუ უფროსი ძმა გარდაცვლილი ჰყავს.

უმაწვილი ქალი და კაცი ყველაზედ გვიან შეიტყობენ ხოლმე, რომ შეერთებულნი არიან, შეკავშირებულნი სამუდამოდ. ჯერ იმათ თვალითაც არ უნახავთ ერთმანეთი, რომ მშობლებს უკვე საქმე გათავებული აქვსთ, მოულაპარაკნიათ ერთმანეთში. როცა ვარსკვლავთ-მრიცხველი გამოაცხადებს, რომ ახლად შეკავშირებულნი ბედნიერად იცხოვრებენო, მაშინვე ამოარჩევენ ხოლმე კარგს, ბედნიერს დღეს ქორწინებისათვის.

ქორწინების დღე რომ დადგება, სასიძო საუკეთესო ტანთსაცმელში იმოსება და დიდის ამბით მიდის საპატარძლოს მოსაყვანად. სიმამრი და სიდედრი დიდს დარბაზში ელიან. ამათ წინ უმაწვილმა კაცმა რამდენჯერმე მუხლი უნდა მოიდრიკოს დიდის პატივის-ცემით და გარეთ გამოსული საპატარძლოც ასევე უნდა მოიქცეს. იქიდგან წამოსულს ქალს საქმრო მოუძღვის წინ. და თავისის სახლის დირეზე უცდის, რომ თავისს მშობლებთან შეიყვანოს. ახალგაზდანი აქაც მუხლს იდრეკენ მოწიწებითვე და მუხლივე უნდა მოიდრიკონ, თუ სახლში მამა-პაპათა სურათები ჰქონდეს ჩამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპეშა

15 ივნისი

ვენა. მუშა ხალხს შორის ჩამოვარდნილი უწესოება კლადნოში არ შეწყვეტილა. დაპატიმრებულია რამდენიმე ასი კაცი, ცარცვა-გლეჯაში დამნაშავენი.

მოსხოვის ომის მოსაგონებლად დღესასწაულობა სრულიად აღკრძალულია სამხრეთ ვენგრიასა, ხორვატიასა, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში აღეკრძალათ აგრეთვე მოსწავლეთაც დღესასწაულის გადახდა.

მინისტრმა კალნოკიმ სხვათა შორის სთქვა: იმ დამშვიდებით უნდა ვიქცეოდეთ, რომელიც სჩვევია ძლიერს; უნდა მივდევდეთ იმ აზრს, რომ არ შევერიოთ ბალკანეთის სამეფოთა შინაურს საქმეებში და არც დავტოვოთ ის მდგომარეობა, რომელიც გვექირა იმათ შესახებ დღემდე. რაც სერბიაში ამბავია, იმის შესახებაც დამშვიდებული სჯა უნდა ვიქონიოთ. სერბიას არა აქვს იმოდენი ძალა, რომ ზედ-მოსევით იმოქმედოს, ხოლო, იქ რომ კერა გაჩნდეს ყოველ გვარის ოინებისა ჩვენდა წინააღმდეგ, ჩვენ მაშინ მოვალენი ვიქნებით დავიწყოთ ბრძოლა. ფიქრობენ, რომ ვითომ ერნი გამუდმებულს და საშინელს ბრძოლაში არიან ურთიერთშორისაო, მაშინ როდესაც ყველია მონარხები მშვიდობას არიან მოწადინებულნი. ავსტრიას ფიქრად არა აქვს თავისი საზღვრები განზე გაიდგას; არც ერთი სახელმწიფო არ არის ისეთი, რომ იმასთან სრულიად წესიერსა და ჩვეულებრივს ურთიერთობაში არ ვიყოთ. მეგობრადა ვართ აგრეთვე რუსეთთანაცა.

ბელგრადი. ახალ-ბაზრის სანჯაყის მოსლემინები აჯანყდნენ და შეიპყრეს მოხელენი. ორი ბატალიონი გაუყვანიათ, მაგრამ წესი მაინც ვერ ჩამოუგდიათ. აჯანყების მიზეზად ასახელებენ ხმას, რომ ვითომ სულთანს ჰსურდეს სანჯაყი სერბიას აჩუქოსო. დიდი ეჭვი აქვთ, რომ ეს ამბავი უთუოდ ავსტრიის ოინიაო.

პეტერბურგი. გუშინ წავიდნენ საზღვარ გარეთ: სახელმწიფო ქონებთა მინისტრი ოსტროვსკი და ბეჭდვათა საქმის უმთავრესი გამგეობის უფროსი ფეოქტისტოვი.

«Новое Время»-ს ატყობინებენ შემდეგ უბედურებას, მომხდარს 11 ივნისს ტარზუნდის ნავთ-საყუდლეში: 12 მატროსი გადადიოდა პატარა ნავით ერთი გემიდამ მეორეზე. ამ დროს ნავს დაეჯახა სანალმო ნავი და ზედ შუაზე გასჭრა. სამი მატროსი დაირჩო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ივნისი

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდული |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 78 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 155¹/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 271 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადები—6.

თიბათვე 30 დღით არის.

16 დღე პარასკევი. წმ. ტისომისა, ამათუანტელ ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. იუსტინიასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-20 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38. მთვარე 29 დღისაა.

17 დღე შაბათი. წმ. მოწამეთა მანუილ, საბაილ და ისმაილისა. კათოლ. წმ. მარციანასი. სომეხ. წმ. პატრიარხის ნერსესისა. მაჰმად. 1-ლი რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38 მთვარე 30 დღისაა.

18 დღე კვირა. წმ. მოწ. ლეონტისა. კათოლ. წმ. მარცელონასი. სომეხ. დაწყება წმ. გრიგოლ განმანათლებელის მარხვისა. მაჰმად. მე-2 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—38. მთვარე 1 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. წმ. მოციქულისა იუდასი, ძმისა უფლისა. კათოლ. წმ. პროტაზიასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-3 რიცხვი ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—38. მთვარე 2 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამ შაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები.

# განცხადებანი

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება

სასოფლო მეურნეობის საზოგადოების სადგურში, ქ. ტფილისში, ბარიათინსკის ქუჩაზე წიგნი:

## ვაზის მოშენება,

შედგენილი

ი. წინამძღვრიშვილისაგან.

ფასი 1 მანეთი.

ეს წიგნი სურათებით სავსეა და იყოფება ოთხ ნაწილად:

კარი პირველი

ა) ქვეყანა და იმაზედ საუბარი, ბ) საუბარი მიწის თვისებაზე, გ) შინაარსი და სინოყიერე მიწისა, დ) გარჩევა ყოველ გვარ მიწის თვისებისა, ე) საუბარი ჰაერზე, ვ) საუბარი მცენარეზე და იმის ორგანოებზე, ზ) მცენარის ორგანოები, (ჱ) მცენარეთ ცხოვრება და იმათი შინაარსი, თ) მცენარის უჯრები, ი) ხლოროფილი, კ) საუბარი მცენარის ამომ ცენარებაზე.

კარი მეორე

ა) საუბარი სავენახე მიწის ამორჩევაზე, ბ) ვენახის პატივი, გ) საუბარი ვაზის გამრავლებაზე თესლით, დ) მოსაშენებელი ადგილი სკოლაში, ე) საუბარი ვაზის გაშენებაზე კვირტით, ვ) საუბარი ვაზის გაშენებაზე რქით, ზ) საუბარი ვაზის გამრავლებაზე რქის დაწვენით, (ჱ) საუბარი სავენახე ადგილის მოშენებაზე პირიბის ვაზით, თ) საუბარი ვაზის მოვლაზე პირველს სამს წელიწადს, ი) საუბარი ვენახის დაკრეფაზე, კ) საუბარი ვენახის მორწყვაზე და გასხლვაზე, ლ) საუბარი ვენახის დაყენებაზე სხვა-და-სხვა რიგზედ, მ) საუბარი ვაზის გასხვლაზე, ნ) საუბარი ვაზის მყნობაზე, ო) საუბარი მიწის შემუშავებაზე სხვა-და-სხვა რიგად, (ო) საუბარი ვენახის სამუშაო იარაღზე.

კარი მესამე

საუბარი ვაზის მოშენებაზე: ტფილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიაში, განჯის გუბერნიაში, ბაქოს გუბერნიაში, ყიზლარში, ყაზი-ყუმუხში და ყუბანში.

კარი მეოთხე

საუბარი ვაზის ავადმყოფობაზე (დამკრახზე, ტყირზე, ღორღთ-სიუხვეზე, ყვავილის დაცვივნაზე, სიყვითლეზე, ვაზის დაშრეზე, ახტონის ცეცხლზე, კორძზე, კუზე, ნაცარზე, ფილოქსერაზე და მილდიუ-ობზე) და იმის მორჩენაზე. (5—5)

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასაყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | მან. კაპ. „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ | 30 |
| ვაზის ოდი . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა . . | 1 | „ |
| სააღაპეო, ნ. ხიზანიშვილისა . | , | 4 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუნიასშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 3 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . . | „ | 25 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. გაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ მგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . | „ | 10 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |

# ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას аремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. (გრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—28) ა. თუთაევი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

Доз. ценз. Тифлисъ 15-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე